ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 შაბათი, 28 ივლისი № 1537

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის" და „ცნობის ფურცლის" რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27, და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"—„Моамбе". ტელეფონი № 372.**

კბილის საექიმო კაბინეტი

ელისაბედ რომანიშვილისა

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9 საათიდან შუადღის 2 საათ. და საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე. ოლგინის ქუჩის დასწვრივ ვერის თავდაღმართზე ოსიფოვის სახლი № 1.

ტელეფონი № 741

საავთიაქო საქონლით მოვაჭრე

ამიერ კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის

დეპო

იმყოფება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე. ამხანაგობა, სამკურნალო წამლებისა და სადოსტაქრო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ და ოჯახში სახმარებელ ყოველ-გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის, საჭმელებისათვის, ჭურჭლისათვის და სხვ.

დეპოში ბლომად მოიპოვება აგრეთვე საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეშო სამკაული).

განყოფილება

სასახლის ქუჩაზეა, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში.

განყოფილებას განაგებს ილ. გ. ჩუბინაშვილი.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, т—во Фармацевтовъ—провизору Алхазову. (100—8)

ადრესი ტელეგრამის: Тифлисъ. „Фармацевтика".

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე. კვირა უქმეების გარდა

დ ი ლ ი თ:

გ. ი. შიშინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 სათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.

გ. გ. მადალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ნ. ა. მუღინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 11—12 საათამდე.

ი. ზ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 10—11 საათამდ.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

მ. გ. ფულდორფი—შინაგანი და საბავშვო 9—10 საათამდე.

გ. ლ. მარკევიჩი—სადოსტაქრო 12½—1½ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდ.

დ. ბეკთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1½—2 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. ა. ბელოგოლოვი—შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 აათამდე.

გ. მადალაშვილი—კვირაობით, 10—12 ს-დე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274. (წლ.)

დაარსდა ქალაქ ტფილისში

პირველი ცინკოგრაფია

წიგნების გამომც. ქართველთა ამხანაგობისა.

(ვანქის დიდი ქ., № 27. ტელეფონი № 372)

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატიდან. შეიძლება გადაღება ძველი ნაწერების ნიმუშებისა, სიგელებისა და სხვ. ქალაქ გარეშე მცხოვრებთ შეუძლიანთ გადასაღები დედანი ფოსტით გამოგზავნონ. გაკეთებული კლიშე გაეგზავნებათ ფასის ზედ-დადებით. (1000—10)

ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა იწვევს მსურველთ

(ქალებსა და ვაჟებს)

სცენაზე სამსახურისათვის

(მსახიობებათ)

მსურველნი მიჰმართავენ საზოგადოების კონტორაში (სათავად-აზნაურო ქარვასლაში, თეატრის გვერდზე) ყოველ-დღე, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის პირველ საათამდე. (ნ. 5—1)

ტფილისის დურგალთა ამხანაგობის გამგეობა ამით აცხადებს, რომ კვირას 29 მკათათვესთვის მეორედ არის დანიშნული საზოგადო კრება, რომელიც კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. განსახილველნი საგნები იგივეა რაც წარსული კვირისათვის იყო დანიშნული. (1—1)

მთავრობის განკარგულებანი

სამოქალაქო უწყებას:

განჯის ოლქის სასამართლოს მდივნის თანაშემწეთ კოლლეჟსკი სეკრეტრებს ავალიშვილსა და ავშარიშვილს ებოძათ ტიტულიარნი სოვეტნიკობა;

გუბერნსკი სეკრეტრებს ოზურგეთის მომრიგებელ სასამართლოს მდივნის თანაშემწეს საჯაიას, ოდესის ოლქის სასამართლოს დაწესებულების მოხელეობის კანდიდატს ჩხენკელს ებოძათ კოლლეჟსკი სეკრეტრობა. ტფილისის ქალაქის ფოსტა ტელეგრაფის მოხელე ალექსანდრე ნაცვლიშვილი გადაყვანილ იქმნა ტფილისის ცენტრალურ ფოსტ. ტელეგ. განყოფილებაში. ბორჯომის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე იოსებ ტატიშვილი გადაყვანილ იქმნი ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში. სამსახურიდან დათხოვნილ იქმნა, თანახმად თხოვნისა, თელავის ფოსტა ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონი გრიგორი სვანიშვილი.

სოფელი და ქალაქი

III*)

წინა წერილში ჩვენ ქალაქურ მრეწველობაზე გვქონდა საუბარი. მივაქციოთ ახლა ჩვენი ყურადღება სოფელსაც. რა მდგომარეობაში არიან დიდი მამულების პატრონები? რა მომავალი მოელით მათ? და ამ კითხვასთან ერთად ისიც გამოვიკვლიოთ, თუ რამდენად კლებულობს თუ მატულობს პატარა მესაკუთრეთა რიცხვი?

კაპიტალის კონცენტრაციის (მცირე მესაკუთრეთა ხელში შეგროვება) მომხრენი ჰფიქრობენ, რომ სოფელშიაც უნდა მოხდეს ეგრედ წოდებული მამულების „კაპიტალიზაცია" ე. ი. პატარა მამულებმა უნდა დაუთმონ ადგილი დიდ მამულებს და დიდი მამული იქმნება ის დროებითი მიწადმფლობელობის ფორმა, რომლის საშუალებით განხორციელდება აუცილებელი ეკონომიური ცხოვრების ევოლიუცია.

ვნახოთ, რას გვეუბნება სინამდვილე. ორი მესამედი საფრანგეთის მიწისა ეკუთვნის 6 მილიონ პატარა მესაკუთრეებს.*) დიდი მემამულეების რიცხვი საფრანგეთში თან-და-თან შესამჩნევად კლებულობს. 100 ოჯახში ორს არ ექმნება 7,500 ფრ. შემოსავალი. 500.000 ყოველ-წლივ დამტკიცებულ მემკვიდრეობათაგან მხოლოდ 2.600 არის იმისთანა, რომელსაც შემოაქვს 20.000 ფრ. მეტი წლიური შემოსავალი.

საფრანგეთში მიწას 7 მილიონი კაცი ამუშავებს. ამ მილიონში ნახევარზე მეტი მიწის მესაკუთრენი არიან. დღიური მუშა თან-და-თან ძნელი საშოვნი ხდება. 1862-ან 1882-მდე დღიურ მუშათა რიცხვმა შესამჩნევად იკლო—4,098.000=3,434.000-დე დაქვეითდა. ესე იგი ფერმებს მოაკლდა 664.000 კაცი. ფერმერების და მოიჯარადრეების რიცხვიც დაეცა 1,435.000-ან 1.309.000 მდე, ესე იგი 126.000 ფერმერი მოაკლდა სოფელს. მხოლოდ ამასთან მოსაკუთრეთა მიწად-მომქმედთა რიცხვი 1 812.000-ან 2.150.000-დე აიწია, ესე იგი 338.000 პატარა მესაკუთრე შეემატა სოფელს.

ასე რომ, რადგან ჰმატულობს სოფლის იმ პატარა მესაკუთრეთა რიცხვი, რომელნიც თავის ხელით ამუშავებენ მამულს, შესამჩნევად უნდა დამცირდეს ფერმერების, მოიჯარადრების და დღიურ მუშათა რიცხვი. დღიურ მუშის რიცხვის შემცირებას ხელს უწყობს აგრეთვე მეურნეობაში მაშინების შემოღება და სათიბვების შესამჩნევი გაფართოვება (1862 წლიდან 25%). ასეა საქმე საფრანგეთში.

მხოლოდ დიდი მემამულეები არც ინგლისში არიან სანუკვარ მდგომარეობაში. რა მიზეზია ამ დიდ მემამულეების დავარდნისა? გუხტავ ლებონი, სხვათა შორის, ინგლისში არსებულ ვაჭრობის თავისუფალ სისტემის არსებობას აბრალებს დიდ მემამულეთა გაჭირვებას. უცხოეთიდან თავისუფლად შემოდის ინგლისში პური, ხორცი და სხვა სურსათი, ყველა ეს, ადგილობრივ ფასების შედარებით, უფრო იაფად საღდება. ამ გარემოებამ მემამულეებს 30% დააწევინა საიჯარო ქირა. მოიჯარადრეები სარგებლობენ მემამულეების გაჭირვებულ მდგომარეობით და ქირას არ იხდიან. მამულები, რომელნიც 500,000—800 000 ფრანკს იძლეოდნენ, ამ ჟამად სულ არაფერს არ იძლევიან და მემამულეები იძულებულები არიან დაჰყონ მამული და მიჰყიდონ იგი კერძო მესაკუთრეებს. ამითი აიხსნება ამ პატარა მესაკუთრეთა რიცხვის ზრდა და დიდ მემამულეთა შემცირება. რასაკვირველია, ამ მოვლენას სხვა გარემოებაც უწყობს ხელს. ამ ჟამად ჩვენ ამითი დავკმაყოფილდებით და ჩვენს გონებაში აღვნიშნავთ იმ მოსაზრებას, რომ საფრანგეთში და ინგლისში ეკონომიურ ცხოვრების ევოლიუცია მამულების „კონცენტრაციისკენ" კი არ მიმდინარეობს, არამედ იმათ მცირე ნაჭერ-ნაჭერად დაყოფისაკენ.

მხოლოდ რასა ვხედავთ ჩვენ ჩვენში? ემჩნევა თუ არა ჩვენს ცხოვრებას კაპიტალის და მამულების ცენტრალიზაცია, ე. ი., მცირე მესაკუთრეთა ხელში შეგროვება? საუბედუროდ, ჩვენი ეკონომიური ცხოვრების გამოკვლევა ჯერ თითქმის არავის უკისრნია, ამისათვის ჩვენ ხელთ არა გვაქვს საჭირო სტატისტიკური ცნობები ამ კითხვის დაწვრილებითი გამოკვლევისათვის. მხოლოდ იმ ღარიბ მასალიდან, რომლითაც შეგვიძლიან ვისარგებლოთ, გამოგვყავს შემდეგი მოსაზრება.

ჩვენი მრეწველობა ჯერ კიდევ ძლიერ ნორჩია. ხალხის დიდი უმრავლესობა (85%) ჯერ კიდევ მეურნეობას მისდევს. ჩვენი ქვეყანა დღემდე მეურნეობის ქვეყანად იწოდება. მაგრამ, ამისდა მიუხედავა, ჩვენშიაც თანდათან იდგამს ფეხს ქალაქური მრეწველობა. რა ხასიათისაა ეს მრეწველობა? დიდია იგი თუ პატარა?

ტფილისში ირიცხება 9000 ხელოსანი კაცი. ქარხნების რიცხვი შეადგენს 347 *). ორთა შუა რიცხვით თითო ქარხანაში მუშაობს 20 კაცი. ტფილისის გუბერნიაში ითვლება 1010 ქარხანა, რომელშიაც მუშაობს 40 ათასამდე მუშა. იმავე ორთა შუა რიცხვის გამოანგარიშებით თითო ქარხანაში 40 კაცზე მეტი არ მუშაობს. ქუთაისის გუბერნიაში 313 ქარხანაა, რომელშიაც მუშაობს 15 ათას კაცამდე. თითო ქარხანაში აქაც 45—50 კაცზე მეტი არ მუშაობს.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენი ნორჩი მრეწველობა პატარა ტიპის მრეწველობას მიაგავს. თანდათან, რასაკვირველია, ჩვენშიაც გაჩნდება დიდი კაპიტალების ტრიალი, მხოლოდ არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს დიდი კაპიტალი შთანთქავს პატარას და პატარა მრეწველობის ზრდას შეაფერხებს ჩვენში.

გადავავლოთ თვალი ჩვენს სოფლებს. როგორც ვთქვით, ჩვენი ქვეყანა ჯერ კიდევ მეურნეობის ქვეყანაა. ხალხის დიდი უმრავლესობა ჯერ კიდევ მიწას ამუშავებს და მიწითა სცხოვრობს. მთელს ტფილისის გუბერნიაში ყოველ წლივ 120 ათას დღიურზე მეტი მიწა იხვნება, ესე იგი მთელი გუბერნიის 1/18 ნაწილი. ქუთაისის გუბერნიაში ყოველ წლივ მოდის 20—25 მილიონი ფუთი სიმინდი, პური, ჰვავი, ქერი და ღომი არა ნაკლებ 15—17 მილიონი ფუთისა.

---

*) იხ. „ცნობის ფურცელი" № 1536.

*) ცნობებს ვიღებთ გუსტავ ლებონის წიგნიდან—Замѣтки о соціализмѣ.

*) ოფიციალური ცნობები 1889 წლიდან მოყოლებული.

ბი მოიყვანეს იმის დასამტკიცებლად, რომ ამ დეკრეტების ასრულება შეუძლებელიაო. მაგრამ მილიერანმა ყურიც არ დაუგდო ამ საჩივრებს და განკარგულება მოახდინა, რომ პარიზში შრომის საბჭოების წევრები აერჩიათ. ამ დღეებში სინდიკატების პალატების უმეტესობის წარმომადგენლებმა პროტესტით მიჰმართეს ვალდეკ-რუსსოს და გამოუცხადეს: რადგანაც მილიერანის დეკრეტებს უკანონოდ ვცნობთ, ამიტომ დანიშნულ არჩევნებშიაც მონაწილეობას არ მივიღებთო.

✿ საფრანგეთში დაბალ სასწავლებლებში მუქთად, უფასოდ ასწავლიან ყველას. მაგრამ ფრანგები ამას არა სჯერდებიან და ამ ბოლოს დროს ლაპარაკი ჩამოაგდეს, რომ საშუალო სასწავლებლებშიაც უფასო სწავლა შემოვიღოთო. ამათ ის კი არა სწადიათ, რომ განათლებული პროლეტარიატისა და ანუ საშუალო სასწავლებელთა კურს დამთავრებულთა რიცხვი გაამრავლონ; არა, პროექტის შემდგენლებს სულ სხვა უდევთ გულში. ფრანგი პედაგოგებისა და მეცნიერების აზრით, საშუალო სასწავლებლებში უფასო სწავლა უნივერსიტეტში სწავლის მონოპოლიას მოსპობს: აქამდე უნივერსიტეტში თითქმის მარტო მდიდრისა და შეძლებულის შვილები სწავლობენ და ეს უნდა მოისპოსო. ამ პროექტის შემდგენლებს არც ისა სწადიანთ, რომ განურჩევლად ყველას, ვინც კი მოსურვებს, მუქთად ასწავლონ საშუალო სასწავლებლებში. პირიქით, ეს უფლება მარტო იმ ბავშვებს ექნებათ, რომლებიც ნიჭს გამოიჩენენ. საშუალო სასწავლებლებში უნდა მიიღებოდნენ ბუნებით ნიჭით დაჯილდოვებულნი ბავშვები და არა ფულისა და მაღალი ხარისხის პატრონის შვილები. პროექტის განსახორციელებლად საჭიროა საშუალო სასწავლებლებში სახელმწიფომ ბევრი სტიპენდია დააწესოს. ამ საშუალებით თან და თან მთელ საფრანგეთის საშუალო სასწავლებლებში სწავლა უფასო გახდებაო. ამავე საშუალებით შესაძლებელი იქნება, რომ საფრანგეთის დანარჩენ ყველა სასწავლებლებშიაც უფასო სწავლა შემოიღონო. ჯერ კიდე კონდარსემ (დიდი რევოლიუციის დროის მეცნიერი და პოლიტიკური მოღვაწე იყო) გამოთქვა ამისთანავე აზრები, საერო განათლების საზოგადო წყობილების პროექტი შეადგინა და 1792 წელს ეროვნული კრების განათლების კომიტეტს წარუდგინა. განათლების გასავრცელებლად კონდარსე, სხვათა შორის, წინადადებას იძლეოდა «სამშობლოს მოწაფეებისათვის» პენსიები, ანუ სტიპენდიები დავაწესოთო. «სამშობლოს მოწაფეებად» კონდარსე იმ ბავშვებს სთვლიდა, რომლებსაც ნიჭი ჰქონდათ და შეეძლოთ მეცნიერებისა და ხელოვნების შესწავლა. ჩვენ დროს,—ამბობენ ფრანგი საზოგადოებრივი მოღვაწეები, მეცნიერები, და პედაგოგები,—ამისთანა «სამშობლოს მოწაფეები» ოფიცრებისა, მოხელეებისა და ჟანდარმების შვილებში კი არა, ხალხში—გლეხებისა და მუშების შვილებში უნდა მოვძებნოთო.

ავსტრ უნგრეთი. გალიციაში ქალ. კრაკოვში პოლონელმა სოციალისტმა მუშებმა სტამბის პატრონი მისიოლეკის თავჯდომარეობით კრება მოახდინეს. დოქტორ მარეკმა წინადადება მისცა კრებას: რეზოლიუცია დავადგინოთ, რომ მოხუცებული და დაშავებული მუშების სავალდებულო დაზღვევა დაწესდეს და მუშების ქვრივებისა და ობლებს საზრდო ეძლეოდესო; ამას გარდა მუშა ხალხის სახელით მოვითხოვოთ, რომ მუშებს ფულით ერთბაში შემწეობა და პენსია ეძლეოდესო. პენსია იმოდენა უნდა იყოს, რამდენიც სამუშაო ქირა იქნება დაზღვეული. სახელმწიფომ მუშების დაზღვევის საქმეს ფულით დახმარება უნდა გაუწიოს, რადგანაც უამისოდ დაზღვევის საქმე ვერ შესრულდება და ეს საქმე სულაც სახელმწიფომ თითონ უნდა იკისროსო.

იტალია. ფინანსის მინისტრი ვოლენბერგი სამსახურიდან გადის, რადგანაც სამინისტრომ მისი ფინანსიური პროექტები არ მოიწონა. ვოლენბერგი ურჩევდა სამინისტროს, შინაგანი ბაჟები სულ მოესპოთო. ეს ბაჟები წელიწადში 214 მილ. ლირა შემოსავალს იძლევიან: ბაჟების მოსაკრებად იხარჯება—23 მილ., ასე რომ წმინდა შემოსავალი 131 მილ.-და რჩება. ამ თანხიდან 138 მილ. თემებს ეძლევა, დანარჩენი 53 მილიონი ხაზინაში შედის. ვოლენბერგი წინადადებას იძლევა, რომ თემებს ამ შემოსავლის სანუგეშოდ მოძრავი ქონების გადასახადი დაუთმოთო. ამ ბაჟების მოსპობის გამო სახელმწიფოს 344 მილ. ლირა შემოსავალი დააკლდება; ამ დანაკლისის შესავსებად მინისტრს ეწადა ახალი გადასახადები შემოეღო. თემები სახელმწიფოს ყოველ წლივ 181 მილ. დაუბრუნებენ, 100 მილ.—ღვინის ბაჟი შემოიტანს, 4 მილ.—სპირტის ახალი ბაჟი, 50 მილ.—საგერბო და სამემკვიდრეო გადასახადი და შემოსავალზე დადებული გადასახადი შემოიტანდა.

ფინანსის მინისტრის გარდა, ცანარდელის კიდე მიწად-მოქმედების მინისტრიც დასჭირდება. დიდი ხანია, რაც ეს ადგილი თავისუფალია. ამას გარდა, გარეშე საქმეთა მინისტრი მარტინო სამსახურიდან გადის, რადგანაც პრინეტისთან ლაპარაკი მოუვიდა. სანამ პიემონტში წავიდოდა, მეფე დიდ-ხანს ელაპარაკა ცანარდელის სამინისტროს კრიზის თაობაზე; ამავე კრიზისის გამო თითონ მინისტრების საბჭოს თავმჯდომარეც ვალდომბრაზში აღარ წავიდა.

✿ მეფე ჰუმბერტის სიკვდილის წლის თავის ერთის დღის წინად პოლიციამ დიდ ძალი ხალხი დაატუსაღა; სხვათა შორის, დაატუსაღეს პროფესორი გავეღი და ქალ. მესინის გაზეთ «ავვენირე სოციალე»-ს («სოციალური მომავალი») რედაქტორი ფრანჩესკო.

✿ გაზ. «ნოვოსტი»-ის კორესპონდენტი იწერება რომიდან: «გაფიცვები იტალიაში სწორედ მოდად შემოიღეს; მღვდლებმა ხომ მოახდინეს, ეხლა სიცილიაში ადვოკატებს სასამართლოს თავ-მჯდომარის რაღაც განკარგულება არ მოსწონებიათ და გაფიცვა მოუხდენიათ. რომში საეკლესიო მგალობლებს და მემუსიკეებს მოუთხოვნიათ, როცა პანტეონში 28 ივლისს (მეფე ჰუმბერტის სიკვდილის წლის თავი) წირვა იქნება, დანიშნულზე მეტი ფასი უნდა მოგვცეთო და გაფიცულან. ზოგიერთ ქალაქებში აფთიაქის პატრონებს მოუხდენიათ გაფიცვა, რადგანაც ქალაქის საბჭოები მეტად დიდ ხარჯს ადებენ აფთიაქებსო. ქალ. ტორენცეციოტაში (ნეაპოლის ახლო) მაკარონის გამყიდველები იმუქრებიან გაფიცვას მოვახდენთო და სხვ. და სხვ. ერთი სიტყვით, ზოგჯერ ისეთ გაფიცვას მოახდენენ ხოლმე, რომ კაცს ძალა-უნებურად გაეცინება. შესანიშნავია, რომ მიკიტნებს და სირაჯებს კი ჯერ არასოდეს და არსად არ მოუხდენიათ გაფიცვა».

სამხრეთ აფრიკა. გერმანიაში ქალ. დრეზდენში 12 ივლისს პრეზიდენტ კრიუგერ ძეგლი დაუდგეს. პრეზიდენტი ზეზე დგას და მარცხენა ხელით საღმთო წერილი უჭირავს. ძეგლის საფეხურთან გენერალი ბოტასი და დევეტის სურათებია გამოყვანილი. ძეგლის პიედესტალის ზემოთ ვეშაპის თავი არის გამოყვანილი. ვეშაპს ჩემბერლენის სახე აქვს გაკეთებული. კრიუგერის ქანდაკის ქვეშ ოქროს ასოებით სწერია: «გაუმარჯოს ტრანსვაალს და თავისუფლებას» და «საქმე რიგზე წავა».

ინგლისი. «დეილი ნიუს»-ი იუწყება: ლონდონში, ვიქტორიას ბაღში საერო კრება მოახდინეს და რეზოლიუცია დაადგინეს, რომ ბურებთან დაუყონებლივ ზავი უნდა შეიკრასო. კრებას კარგად ჩაუვლია. გაზეთს იმედი აქვს, რომ ამ კრებას კიდევ სხვა კრებაც მოჰყვება და ჯანგოისტები ძალ-მომრეობით ვეღარ ჩაჰშლიან კრებასო.

ახალი ამბავი

✦ ტფილისის ქალაქის სკოლების გამგე კომისიის თავმჯდომარემ წარუდგინა ქალაქის თავს კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი ტფილისის სახელოსნო სკოლის რეორგანიზაციისა და თან დასძინა, რომ კომისიამ მოუხერხებლად სცნო ტფილისში სამოსწავლო ოლქის მიერ ნაჩვენებ ტიპის დაბალ ტეხნიკურ სასწავლებლის გახსნა.

✦ მკითხველებს ეხსომებათ, რომ ამას წინად შესდგა კომისია, რომელსაც დაევალა ოსურს ენაზე გადათარგმნილ სახარების გადათვალიერება-შესწორება. ამ ჟამად კომისიას უკვე დაუმთავრებია საქმე და სახარება ახალის რედაქციით წარუდგენია კომისიას კავკავისა და მოზდოკის ეპისკოპოსისათვის.

✦ ერთმა ქალაქის თვით-მმართველობამ შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა საქალაქო დებულების 106 მუხლს მიემატოს წესი, რომ ხმოსანს არა აქვს უფლება იყოს ქალაქის თვით-მმართველობის კონტრაგენტად. რადგანაც ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილება შეიძლება მხოლოდ საკანონმდებლო წესით, ამიტომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ წინადადება მისცა ქალაქის თვით-მმართველობათ, განიხილონ ეს საკითხი. თანახმად ამ წინადადებისა, ტფილისის გუბერნიის მმართველმა თავის მხრივ წინადადება მისცა ქ. ტფილისს და ტფილისის გუბერნიის იმ ქალაქებს, სადაც თვით-მმართველობაა შემოღებული, განიხილონ ეს საკითხი.

✦ როგორც სატახტო გაზეთები იტყობინებიან, საერო განათლების სამინისტროს განზრახვა აქვს შეამციროს ებრაელ სტუდენტების რიცხვი რუსეთის უნივერსიტეტებში 3%-ამდე (აქამდე იღებდნენ 5%-ს). ხოლო მოსკოვის უნივერსიტეტში ებრაელებს სრულებით არ მიიღებენ.

✦ როგორც გავიგეთ, ბ. ფალიაშვილს, რომელიც ორი-სამი წელიწადია რაც ქართული სიმღერების შესწავლის საქმეს მეცადინეობს, მოუწადინებია ქართული სიმღერების გრომო-ფონოგრაფის შემწეობით გადაღება. ამ ორის კვირის წინად კახეთში ყოფილა და კახური სიმღერები გადაუღია. ეხლა—ამავე მიზნით აგვისტოს პირველ რიცხვებში ბ. ფალიაშვილი აპირებს გურიაში წასვლას—მოივლის ოზურგეთს, შემოქმედს და აკეთს.

✦ ტფილისში ჩამოვიდა და შეუდგა თავის თანამდებობის ასრულებას ტფილისის ფოსტის კონტორის ახალი უფროსი ფონ-კლუგენი.

✦ მეათე ნაწილის პოლიციამ საქმე შეაყენა ვილაც დომბროვსკის წინააღმდეგ, რომელმაც შეურაცხყოფა მიაყენა ყარაულად დაყენებულ ჯარის კაცს გუშინწინდელ ცეცხლის დროს. დომბროვსკის თურმე უნდოდა გაეარა იმ ადგილის ახლო, სადაც გადარჩენილი საქონელი ეწყო და ყარაულს არ გაეშვა. დომბროვსკი გაძალიანებულა. მაშინ ჯარის კაცს თოფის კონდახით დაებრუნებინა იგი უკან. გაბრაზებული დომბროვსკის აელო ქვა და ყარაულისათვის ესროლა. სასჯელთა დებულების ძალით ამგვარ საქმის ჩამდენს მიეცის ექვსი თვიდან ორ წლამდე ციხეში დაპატიმრება და განსაკუთრებულ უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა.

✦ გუშინწინ გაჩენად ცეცხლის ადგილზე (ტფილისის საქონლის ვოკზალზე) ასამდე კაცი მუშაობს. უნდათ შეიტყონ, რა დაიწვა და რა გადარჩა. სამხედრო უწყებიდან ყარაულები არის დანიშნული გადარჩენილ საქონლის ყურის საგდებლად. რკინის გზის სამმართველოს დაუნიშნავს განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს ზარალის რაოდენობა. მიზეზი ცეცხლის გაჩენისა დანამდვილებით ჯერ არ იციან.

✦ გუშინწინდელ ცეცხლის დროს პოლიციამ შეიპყრო ორი კაცი იმ დროს, როცა ისინი ცეცხლისაგან გადარჩენილ საქონლის მოპარვას აპირებდნენ. როგორც ამბობენ, სხვის საკუთრების მოყვარულთ ჯარის მოსვლამდე ბევრი რამეს წაღება მოუსწრიათ.

✦ ერწოდან (თიანეთის მაზრა) გვწერენ: „ჭირნახულები მოიმკო. მუშა ძალიან ძვირი იყო, რადგანაც ყანა ფეხად ძალიან მაღალი იყო. ხშირმა წვიმებმა ააღდა, რის გამოც ყანას ძალიან ბერტი და სუმბუქი მარცვალი აქვს. ერთი უბედურება მოხდა აქეთა მხარეს: ს. ღულელებში მცხოვრებელი გაგა ქისტაურის ცოლმა სანათამ თავი ჩამოიხრჩო; მიზეზად ქმრის ღალატს ასახელებენ“.

✦ გუშინ, 27 ივლისს, საღამოს 10 საათზე გაუჩნდა ცეცხლი ონანოვის ხე-ტყის ქარხანას და სრულიად გადაიწვა. ცეცხლი ისე გაძლიერებული იყო, რომ სლივიცკის სახლი დასცალეს. დაწვრილებით ხვალ შევატყობინებთ მკითხველებს.

✦ ივლისის პირველ 18 დღის განმავლობაში ბათუმის ნავთის მილის სადგურს მიუღია სულ 2.302,000 ფუთი ნავთი.

✦ ეს მე-8 დღეა ტფილისში საშინელი სიცხეებია. სიცხე უფრო აუტანელია იმ გარემოების გამო, რომ ეს რამდენიმე დღეა ჰქრის ცხელი ზენა ქარი და ამას თუ დავუმატებთ მეტად უსუფთაო მტვრიან ქუჩებს, საიდანაც ქარისაგან განიავებული მტვერი მეტს შევიწროვებას აყენებს ხალხს, ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორი გასაძლებია ამ ჟამად ტფილისში.

✦ ინჟენერ-გიდრავლიკ კარცკის მიანდეს მუღანის მინდვრების მორწყვის საქმე და ინჟენერი მაევსკი კი გამოიწვიეს კავკასიის საწყლო სამმართველოში სამუშაოდ.

✦ ქალაქის ტეხნიკოსმა ზურაბიანცმა წარუდგინა ტფილისის ქალაქის გამგეობას ადგილობრივ კამანდის სადგომის რემონტის ხარჯთ-აღრიცხვა; ამ ხარჯთ-აღრიცხვით, ხსენებული რემონტი უნდა დაჯდეს 900 მანეთი.

✦ პოლიციის მე 9 ნაწილში, 25 ივლისს საღამოს 8 საათზე, ნიკოლოოზის ხიდთან საბანაოდ ჩასულა ტფილისის მოქალაქის შვილი 14 წლის იაკობ გრიგოლის ძე ჯანუაშვილი, რომელიც წყალმა ჩაითრია და დაახრჩო; დამხრჩვალის გვამი ჯერ ვერ იპოვნეს.

✦ ამიერ კავკასიის რკინის გზის სამართველოში მსახურმა კაზიმირ საველის ძემ ცხომელიძემ გუშინწინ პოლიციაში განაცხადა, რომ მან 24 ივლისს გაისტუმრა თავის სახლიდან მისი ყოფილი მოსამსახურე სარქის ავაკიმის-ძე სემეკოვი; მისი წასვლის შემდეგ მის ბინაზე ხანგანეზოვის სახლში ელისაბედის ქუჩაზე აღმოჩნდა, რომ მას დაჰკარგვია შემდეგი ნივთები: ქალის ოქროს საათი ოქროსავე ძეწკვით 50 მან. ღირებული, ერთი ბროშკა 10 მან. ღირებული, 6 ოქროს ბეჭედი—30 მან. და სხვა ნივთები, სულ 127 მან. ეჭვი აღნიშნულ ნივთების მოპარვაში მიუტანიათ ნახსენებ სემეკოვზე, რომელიც უკვე დააპატიმრეს. სემეკოვს გაჩხრეკის დროს აღმოაჩნდა მხოლოდ 13 მან. და 58 კაპ. ფულად. გამოძიება სწარმოებს.

პრესსა

სემინარიელების უნივერსიტეტში მიღების შესახებ ლაპარაკობს «ნოვოე ვრემია»-ც. გაზეთის სიტყვით, სემინარიელებს დღეს იღებენ ვარშავის, იურიევის და ტომსკის უნივერსიტეტებში არა იმიტომ, რომ სემინარიელების ინტერესი და სარგებლობა დაიცვან, არამედ სახელმწიფო ინტერეს-სარგებლობისათვის. სახელდობრ, სახეში აქვთ განაპირა ქვეყნების გარუსების საქმე.

„რუსეთის სემინარიელები, ამბობს სუვორინის გაზეთი, ნამდვილი რუსები არიან და ამიტომ უეჭველად რუსეთის ელფერს დასდებენ ყველაფერს, რუსეთის კულტურას გაავრცელებენ ყველგან, სადაც-კი მივლენო. მაშასადამე ვარშავასა და იურიევში მათი დაბინავება სასურველია სახელმწიფო ინტერესების მხრით“.

მაგრამ, განაგრძობს გაზეთი, მარტო სახელმწიფოს ინტერესი არ უნდა გვქონდეს სახეშიო; საჭიროა თვით სემინარიელების სარგებლობასაც მივაქციოთ ყურადღება.

„სემინარიელების შრომის მოყვარეობა და მეცადინეობა ყველამ კარგად იცის. რომ ისინი საკმაოდ კარგად არიან მომზადებულნი უმაღლესის სწავლის მიღებისათვის, ეს ცხადია; მოვიგონოთ ის დრო, როდესაც სემინარიელებს დაუბრკოლებლივ იღებდნენ ყველა უნივერსიტეტებში: მაშინ ისინი საუკეთესო სტუდენტებად ითვლებოდნენ, ბევრი ჩვენი ბრწყინვალე პროფესორები სემინარიების მოწაფენი იყვნენ. სიტყვის გაგრძელება არ გვსურს და ამიტომ მხოლოდ ორს ვასახელებთ; პროფესორს ვიშნეგრადსკის, შემდეგ ფინანსთა სამინისტროს ცნობილს ისტორიკოსს და კლიუჩევსკის. დიდ-ძალი სემინარიელი იღწვის ახლა სახელმწიფო და საზოგადო სამსახურში; სემინარილებიდან ბევრია მშვენიერი ექიმი. ამრიგად, ცხადია, უნივერსიტეტი მოგებაში იქნება, თუ სასულიერო წოდების პირთა შვილებსაც გაუღებს კარებს“.

შემდეგ გაზეთი ამბობს, რომ სასულიერო წოდებაც არ იქნება წაგებაში, თუ ბევრი მათგანი საერო სწავლას დაეწაფება. ყველას ხომ არ გაიტაცებს სასულიერო სამსახური, ხოლო ამ ასპარეზზე გატაცება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელს ტფილის გუბერნიაში ვენახებს და ზვრებს უჭირავს 82 ათას დღიურზე მეტი მიწა. ყოველ წლივ, უკანასკნელი, 45 მილიონი ბოთლი ღვინო იყიდება. ქუთაისის გუბერნიაში ყოველ წლივ ჰყიდიან 25 მილიონ ბოთლ ღვინოს. ჩვენი ხალხი ხვნა-თესვის და მევენახეობის გარდა საქონლის მოშენებას მისდევს, მატყლსა ჰყიდის, ყველს აკეთებს, აბრეშუმი მოჰყავს და სხვა ამგვარ მეურნეობით ირჩენს თავს. რა უნდა მოუვიდეს ამ მიწაზე დამყარებულ ხალხს, რომ განხორციელდეს „კაპიტალთა კონცენტრაციის კანონი“? ისინი უნდა გაბოგანოვდნენ, მიწას მოშორდნენ და იქცნენ სოფლის დიდ მამულის და ქალაქის სამრეწველო დაწესებულების სამუშაო ძალად. ასე სწყვეტენ ჩვენი სოფლელის ბედს უტოპიურ კონცენტრაციის კანონის მომხრენი. თვით ცხოვრება გვიჩვენებს, რომ სოფლელს თანდათან ქალაქის ცენტრები იზიდავენ, იგი დღეს თუ ხვალ ბოგანოდ შეიქმნება და პროლეტართა რაზმში ჩაეწერება. მართლა ასეა ჩვენს ცხოვრებაში?

ბატონ-ყმობის მოსპობიდან ჩვენი სოფლის სიმდიდრე, თან-და-თან, იცვლის თავის ადგილს. წინად იგი თავად-აზნაურობის განუყოფელ კუთვნილებას შეადგენდა, ეხლა მას დაესაკუთრა ხალხიც. ყმების განთავისუფლებიდან ჩვენში შესამჩნევად გაიზარდა პატარა მესაკუთრეთა რიცხვი. ბევრი მემამულეთაგანი გაღარიბდა და მიწის-მოქმედის დონეზე ჩამოვიდა. ბევრნი მათგანი თავიანთ ხელით ამუშავებენ მიწას. ეს არის ტიპი ახლად წარმოშობილ წვრილ-ფეხა მესაკუთრე მიწის მოქმედისა. ამ პატარა მესაკუთრეთა რიცხვი დღითი დღემდე ჰმატულობს. ამას უნდა მიუმატოთ ის გლეხები, რომელთაც შეისყიდეს ნადელები და მესაკუთრეებად შეიქმნენ. ამერეთის გლეხობას დღიდან რეფორმისა 1899 წლის 1 იანვრამდე შეუძენია 3,466 კომლს 15,084 დესეტინა *) შედარებით საერთო გლეხთა რაოდენობისა ტფილისის გუბერნიაში ეს ძალიან პატარა რიცხვია. მხოლოდ მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ბატონ-ყმობის დროს ამ პატარა მესაკუთრეთა ხსენებაც არ იყო. ჩვენ გლეხს ბევრი გარემოება ხელს არ უწყობს მიწის შეძენისათვის (ხასიათის უმოძრაობა, კრედიტის უქონლობა და სხვ.) მხოლოდ ჩვენი დროის სოფლის ცხოვრების დედა-ძარღვი სწორედ ამ სიმდიდრის ადგილის შეცვლაში მდგომარეობს (перемѣщеніе богатства). ამ აზრის დასამტკიცებლად ჩვენ გვაძლევს მდიდარ მასალას იმერეთი. შვიდ მაზრაში—ქუთაისის, შორაპნის, რაჭის, ოზურგეთის, ზუგდიდისა, სენაკისა და ლეჩხუმისა დღიდან რეფორმისა (1865—1866 წ.) 1899 წლის 1 იანვრამდე 32,844 კომლ გლეხს შეუსყიდია თავისის ფულით 362.421 ქცევა ანუ 135,908 დესეტ. მიწა**). 4449 კომლიდან (რაჭაში) დღეს თავისუფალია 3791 კომლი, ანუ 85,2% რაჭის მაზრის გლეხობისა.

ამ რიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველოში პატარა სოფლის მესაკუთრეთა რაოდენობა თან-და-თან იზრდება. ამას მოჰყვება ჩვენში ერთი შესანიშნავი მოვლენა, რომელმაც დასავლეთ-ევროპის ცხოვრებაშიაც იჩინა თავი. ჩვენ სოფელს, ემატება რა პატარა მესაკუთრეთა რაოდენობა, აკლდება მუშა ხელი. დიდი მემამულე, რომელიც მამულის მოვლის ხარჯს ვერ აზღის (სხვათა შორის, მუშა ხელის სიძვირის გამო) თან-და-თან ეთხოვება თავის მამულს და მასთან სოფელსაც. ასე, რომ ჩვენშიაც შედარებით სოფელი უნდა დაცარიელდეს—მეტი ელემენტი, თან-და-თან, გადის ქალაქებში. დიდი მემამულე, თუ აქვს მას ფული, ვაჭრობას და მრეწველობას იწყებს. გლეხი, რომელსაც ვერ შეუძენია მიწა და რომელსაც არ აქვს ამ შეძენის იმედი, გაჭირვების გამო სამუშაოს საძებნელად გარეთ უნდა გავიდეს. მხოლოდ ჩვენი სოფლის გაცარიელებას აქვს თავის საზღვარი. ეს საზღვარია—პატარა მესაკუთრების მკვიდრათ მიწაზე დამყარება.

ამნაირია ჩვენს დროში ქალაქის და სოფლის ურთიერთობა. სოფლები და ქალაქები იცვლიან თავიანთ ჩვეულებრივ ხასიათს. ჩვენი კეთილდღეობა აშენებულია ქალაქსა და სოფელს შორის შრომის განაწილებაზე და არა იმაზე, რომ ქალაქი სოფელზე ბატონობდეს. და აი, ჩვენი ეკონომიური ცხოვრებაც სწორედ ამ გზას დაადგა ყმების განთავისუფლებიდან.

არჩილ ჯორჯაძე.

---

*) „ივერია“ № 250 1899 წ.

**) „ცნობის ფურცელი“ № 1480 საკომლო მიწების შესყიდვა.

მცირე შენიშვნა

საზოგადო მოღვაწეების საყურადღებოდ

ყოველ ქვეყანაში, სადაც განათლებული და მცოდნე პირები საზოგადოების უმცირესობას მაინც კი შეადგენს, საერთო კითხვები, საეჭვო და რთული საზოგადოებური მოვლენანი ყოველთვის ჯეროვან და სასურველ ყურადღებას იწვევს საზოგადოების განათლების წევრების მხრით: არ იქნება ისეთი საერთო კითხვა, რომ მის შესახებ რამოდენიმე განმარტება არ დაიწეროს მცოდნე კაცებისაგან; ჩვენში კი ყოველივე უკუღმართად ხდება. განათლებული და მცოდნე წევრებიც ამ ბოლო დროს საკმაოდ გვყავს, მაგრამ, რაღაც შემთხვევით, არც ერთ მათგანს საერთო საზოგადო კითხვები არ ეინტერესება. თუ ვინმემ ჩვენებურმა სწავლა-განათლება მიიღო და სამშობლოში დაბინავდა, უსათუოდ მხოლოდ თავის კერძო პროფესიონალურ ხელობას ემსახურება: ვექილი მარტო სასამართლოს საქმეებს ეძებს და კერძო შრომაში ატარებს დროს; პედაგოგი—მარტო სკოლას უნდება: არც ერთ ჩვენებურ მცოდნე კაცს ჩვენი ცხოვრებისაგან წამოყენებული კითხვების შესწავლა-განმარტება არ მოუწადინებია; ამიტომაც ხშირად მრავალ უხერხულ, ანორმანულ გარემოება-პირობებს ითმენს ძალა-უნებურად ჩვენი საზოგადოება. არსად, არც ერთ სამოღვაწო ასპარეზზე ისე თავისუფალი არ არის თანამედროვე მოღვაწე, როგორც სამეცნიერო ნიადაგზე: მეცნიერების სახელით ბევრ მწავე და პრაქტიკულად გაუსწორებელ საშუალებას შეუძლია შეეხოს თანამედროვე მწერალი, მაგრამ ჩვენ ამ უპირატესობითაც ვერ ვსარგებლობთ. რანაირი პატივის ცემა და თანაგრძნობა უნდა ჰქონდეს ჩვენი ვინმეს, როდესაც ჩვენ არას დროს ჩვენი ცოდნანიჭის ნაყოფი საქმით, მწერლობით თითქმის არას დროს არ დაგვიმტკიცებია. რამდენი შემთხვევაა ჩვენს ცხოვრებაში ისეთი, რომ ადმინისტრაციის ან სასამართლოს წარმომადგენელნი თავიანთი კერძო განკარგულებით ძირითადათ ეწინააღმდეგებიან არსებულ კანონის დედა აზრს! ვინ არის ჩვენში ისეთი ნასწავლი, რომ სიტყვა დასძრას პრინციპის სიყვარულისათვის, თავის-თავად, თუ გონორარი—ფული არ მიეცი; ხშირად იმ ქვეყნებში, სადაც მცოდნე კაცები ცხოვრების მოვლენას უკვირდებიან—მოხელეებიც წინ დახედული არიან. ჩვენში კი ყველას შეუძლიან ჩვენებური ბრძნული არაკით იხელმძღვანელოს: «ქვეყანა ვნახე უძაღლო, შიგ გავიარე უჯოხოთო». მე არ შევეხები აქ მრავალნაირ კითხვებს, რომლებიც განსამარტავია, მაგრამ უპატრონობის გამო სრულიად უყურადღებოდ არის დატოვებული; ავიღებ მხოლოდ ერთ შემთხვევას, რომლის უსამართლობა თვალსაჩინოდ დასანახავია ყველასათვის: ყოველ გუბერნიაში არსებობს გუბერნიის საქალაქო საქმეების გამგე საკრებულო, რომლის წევრები კანონით გამორკვეული და გამოანგარიშებულია: თავმჯდომარეობს ამ საკრებულოს გუბერნიის მმართველი, წევრებათ ითვლებიან: 1) ვიცე-გუბერნატორი; 2) პროკურორი (განსაკუთრებულ შემთხვევებში, როცა ვისმე პასუხის გებაზე არის მსჯელობა—ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე); 3) სახაზინო პალატის უფროსი; 4) გუბერნიის ქალაქის თავი; და 5) გუბერნიის საბჭოსაგან არჩეული ერთი ხმოსანი. ამის მეტი წევრი კანონით არ არსებობს საქალაქო საქმეების საკრებულოში. ამ უკანასკნელ დროს გუბერნატორ გერშელმანის განკარგულებით—საბჭოში იწოდებენ წევრებად იმ პოლიციის მოხელეთ, რომლებსაც მინდობილი ჰქონდა ვინმე მოხელის საბრალმდებლო საქმის გამოძიება. ხშირად ასეთი პოლიციის მოხელე შეჰკრებს ცნობებს, მაგრამ მისი აზრი სრულიად სავალდებულო არ უნდა იყოს საკრებულოსათვის. გამომძიებელი სასამართლოს წევრთა უფრო მცოდნეა კანონებისა, მაგრამ მას არას დროს არ იწოდებენ საკრებულოში. დიდი მნიშვნელობა აქვს ხშირად ცოცხალ სიტყვას, თუ გინდ უმართლოს. ყოველივე ოფიციალურ დაწესებულებაში მხოლოდ რამდენსამე კაცს (ორს ან სამს) აქვს გაცნობილი კარგად საქმე, დანარჩენი მხოლოდ მოხსენებას უყურებს და უნებლიეთი შთაბეჭდილებით სწყვეტს კითხვას: როცა პოლიციელი მოხელე თავის გამოძიების ოქმს თვითონ კითხულობს და იცავს თავის მოხსენებას, ამას დიდი გავლენა არა აქვს საკრებულოს წევრებზე. ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა აქვს საქმის ასე თუ ისე გადაწყვეტაზე. აქ ისეთი არაფერია, რომლის შესახებაც მსჯელობა არ შეიძლებოდეს... თვით კანონმდებელიც არ არის შეუცდომელი, ყველამ იცის, მაგრამ კანონებსაც ასწორებენ, ცხოვრების მოთხოვნილებას უთანხმებენ კანონს; ამ შემთხვევაშიაც შეცდომის გასწორება შეიძლება, მაგრამ სიტყვის დამძვრელი გვაკლია; სამართლიანობა მოითხოვს ვსთქვათ, რომ ქუთაისის ახალმა მოურავმა მიაქცია ამ მოვლენას ყურადღება. როგორც გავიგეთ, მან პირველმა აღძრა საკრებულოში კითხვა იმის შესახებ, თუ რამდენად კანონიერია ადმინისტრაციის მოხელის საკრებულოში მოწოდება, მაგრამ ამ შემთხვევისათვის მოსძებნეს ის მუხლი საქალაქო დებულებისა, სადაც გუბერნიის მმართველს ეძლევა უფლება მოიწოდოს საკრებულოში მცოდნე პირები; მაგრამ მცოდნე პირებად აქ ჩვენ უნდა ვიგულისხმოთ პროფესიონალური ცოდნის მქონე პირი, მაგ., როგორც ინჟენერი, ექიმი და სხვ. ადმინისტრაციის მოხელე სრულიად არ ჩაითვლება ისეთ მცოდნედ, რომლის დაუხმარებლად საკრებულოს წევრებმა საქმე ვერ გარდასწყვიტონ. არას დროს კანონიერ ნიადაგზე ბრძოლა არავისთვის საწინააღმდეგოდ არ ჩაითვლება. სენტიმიტომ არსებობს, რომ კანონის ამსრულებლებს სახელმძღვანელო დაწესებულება ჰქონდეს, სადაც ყოველივე საეჭვო შემთხვევის დროს უნდა მიიქცეს ყოველი მცოდნე კაცი კითხვის განსამარტებლად. სირცხვილია და საძრახისი ის, რაც ჩვენში უკვე გავრცელებულია, ე. ი., კლიაუზა «დონოსები». საჩივარი, კითხვის განმარტება სამართლიანი, გონივრული მოთხოვნილებაა და ნება დართულიც.

ნიკო თავდგირიძე

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

26 ივლისს.

პეტერბურგი. 26 ივლისს, პეტერბურგში ჩამოვიდნენ დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე მეუღლით და დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე მეუღლით; 26 ივლისსავე პეტერბურგში ჩამოვიდა დიდი მთავრინა ანასტასია მიხეილის ასული, მეკლენბურგ-შვერინის დიდი ჰერცოგინია.

ნიჟნი-ნოვგოროდი. დღეს დახრჩობილი ნახეს თავის სენაკში ხარების მონასტრის წინამძღვარი არხიმანდრიტი არკადი. უჯრა, სადაც ძვირფასი რამეები ინახებოდა, გატეხილია; წაუღიათ სხვა-და-სხვა წივთები და მონასტრის ფულები.

ხარკოვი. ილინის ბაზრობას სიცოცხლე აკლია; მყიდველები ძალიან ცოტაა. გუშინ ღამ დიდი წვიმა იყო. ნიაღვარმა დიდი ზარალი მიაყენა მაზრას.

პეკინი. სახელმწიფოთა უმრავლესობა მოწადინებულია საქმე გაათავონ; როგორც ეტყობათ, ისინი მზად არიან, თუ საჭიროება მოითხოვს, სხვა შეთანხმება მოახდინონ. ინგლისის წარმომადგენლის უარის მიზეზი არ იციან, მაგრამ თუ იგი პრინციპიალურის ხასიათის არ არის და ეხება მხოლოდ ოქმის რედაქციას, მოლაპარაკების ჩქარა გათავება მოსალოდნელია. ჩინელებიც თავის მხრივ დაუყონებლივ ხელ მოაწერენ.

სიმფეროპოლი. ტავრიდის ჩრდილოეთ მაზრების მოუსავლობის გამო, შინაგან საქმეთა სამინისტრომ გადასცა საგუბერნიო საკრებულოს განკარგულებაში 300.000 მ. დაზარალებულთათვის სასესხებლად.

პარიზი. სანტოს-დიუმონმა დღეს ერთხელ კიდევ გამოსცადა თავისი ჰაეროსტატი. დიდის გაჭირვებით შემოუარა ეიფელის კოშკს, მაგრამ შემდეგ ზევით ველარ აიწია; ქარი საკმაო ძლიერი იყო და ჰაეროსტატი დაეცა ერთ ახალ სახლს, სენის ახლო და იქვე დარჩა. სანტოს-დიუმონს არა დაშავებია რა.

პარიზი. „ფიგარო“-ს გაუგია, რომ დელკასსემ დაარწმუნა მუნირ-ბეი, რომ მთავრობასა და მის წარმომადგენელს-შუა არავითარი აზრთა განსხვავება არ არის. იგი ამტკიცებდა, რომ საფრანგეთის უფლება უცილობელია, თან იწონებდა კონსტანის ქცევას და ბოლოს გამოთქვა იმედი, რომ ოსმალეთის მთავრობა სამართლიანად მოეპყრობა ოსმალეთის ქვეშევრდომებს.

ჟურნალ-გაზეთებიდან

საფრანგეთი. წარსულ ხუთშაბათს მინისტრების საბჭომ უკანასკნელი სხდომა მოახდინა და დროებით დაიშალა. მინისტრები მომეტებულ ნაწილად დათხოვნილები არიან. პრეზიდენტი ლუბე რამბულიეში წავიდა, ვალდეკ-რუსსოც ერთი თვით დათხოვა.

✿ ჩვენ ვიცით, რომ ვაჭრობის და მრეწველობის მინისტრმა მილიერანმა 1900 წ. 17 ენკენისთვეს და 1901 წ. 2 იანვარს გამოცემული დეკრეტების (ბრძანება) ძალით შრომის საბჭოები დააწესა. ამ დეკრეტების ძალით დიდი საქმე აქვს მინდობილი შრომის საბჭოებს: საბჭოები მოვალენი არიან, როცა კი მთავრობა და დაინტერესებული პირები (კაპიტალისტები და მუშები) მოსთხოვენ, თავიანთი აზრი წარუდგინონ ხოლმე ყოველ საგანზე, რაც კი შრომას შეეხება; მოვალენი არიან დახმარება გაუწიონ, როცა ვაჭრობის მინისტრს, ანუ შრომის უმაღლეს საბჭოს ცნობების შეკრება დასჭირდება; ყოველ ოქმში საზოგადოთ მიღებული სამუშაო ფასი უნდა დააწესონ. ამას გარდა უნდა დააწესონ, თუ მრეწველობის სხვა-და-სხვა დარგში რამდენი სამუშაო ფასი უნდა დაადგინონ; საშუალება აღმოაჩინონ და უსაქმო მუშებს საქმე უნდა გაუჩინონ; ანგარიშები უნდა წარმოადგინონ, თუ შრომის თაობაზე გამოცემული კანონები რა ნაირად სრულდება და თუ საჭიროდ დაინახეს, რა ნაირად უნდა შეიცვალოს ეს კანონებით.

შრომის საბჭოს წევრებს საქმის პატრონები (კაპიტალისტების სინდიკატები) და სამრეწველო სასამართლოები ირჩევენ. საქმის პატრონებმა იმ თავითვე მეტად ცუდის თვალით შეხედეს ამ ახალ დაწესებულებას. ამათ წარმომადგენლებმა სენატში მილიერანის დეკრეტების წინააღმდეგ პროტესტი გამოაცხადეს და ამტკიცებდნენ, რომ მილიერანმა ისეთი უფლება დაიჩემა, რაც მარტო პარლამენტს ეკუთვნისო. დეკრეტების წინააღმდეგ ამათ თავიანთი საკუთარი კანონ-პროექტი წარადგინეს და მოითხოვეს, რომ «შრომის სათათბირო საბჭოები» დაწესდესო. ესეც არ იკმარეს. მსხვილი მრეწველების რამდენიმე სინდიკატებმა თითონ მილიერანს საჩივარი წარუდგინეს და იურიდიული და ფაქტიური საბუთე-

და გულ-წრფელობა თუ არ იქნა, ისე სამსახური არ ვარგაო. ყველა ამ მოსაზრებათა ძალით, „ნოვ. ვრემია“ თხოულობს, რომ ყველა უნივერსიტეტებში და ფაკულტეტებზე მიიღონ სემინარიის კურს დამთავრებულნი.

⁂

ამას წინად ჩვენ გავაცანით მკითხველთ გაზეთ „დონსკაია რეჩ“-ის წერილი ახლანდელ საქალაქო დებულების შესახებ. გაზეთმა მიგვითითა ბევრ ნაკლულევანებაზე და ახლა კვლავ განაგრძობს ამ დებულების ნაკლულევანებებზე სჯა-ბაასს.

> „მეტად უხერხულიაო, ამბობს გაზეთი, რომ ქალაქის თვით-მართველობის მოხელენი ერთ და იმავე დროს ადმინისტრაციისა და მცხოვრებთა დამოკიდებულების ქვეშ არიან. ხშირად მოხდება, რომ რომელიმე საქმის შესახებ საბჭოსა და ადმინისტრაციის აზრი ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან. როგორ უნდა მოიქცეს მაშინ გამგეობა?. თუ ერთ მხარეს მიემხრო, მეორე უთუოდ უკმაყოფილო იქნება. ასეთი მდგომარეობა გამოიწვევს ორგულ მოქმედებას, მოსპობს გულწრფელობას, რაც აუცილებლად საჭიროა საზოგადო მოღვაწეობაში“.

შემდეგ გაზეთი ეხება საბჭოს უფლებათ და ამტკიცებს, რომ მეტად შევიწროებულია მისი სამოქმედო ასპარეზი. მაგალითად, ქალაქი ვალდებულია გახსნას სასწავლებლები, მაგრამ უფლება არა აქვს თვალ-ყური ადევნოს სწავლების საქმეს. მეტად შეზღუდულია, ამბობს გაზეთი, ქალაქის საბჭოს უფლება აგრეთვე გადასახადების გაწერის საქმეში; მაგალითად, ქალაქს არა აქვს ნება შემოსავალზე დააწესოს გადასახადიო.

დასასრულ „დონსკ. რეჩ“ იმეორებს, რომ დროა გადაისინჯოს აწ-არსებული საქალაქო დებულება და ამასთანავე განთავისუფლებულ იქმნან ქალაქები ჯარების დაბინავების ხარჯებისაგან, რაც დიდ ზარალს აძლევს ისედაც შევიწროებულ საქალაქო ბიუჯეტსაო.

პროვინცია

სურამი. ორი-სამი წელიწადია, რაც დ. სურამი ერთ-უმთავრესს სააგარაკო ადგილად გადაიქცა: ბორჯომ-აბასთუმანს დაეკარგა ძველი ფასი და მნიშვნელობა: დ. სურამის ღირსება-მნიშვნელობა ის არის, რომ შუა ადგილზე არის ორ გუბერნიას შორის და მათ-შორის მისვლა-მოსვლაც მეტად მოხერხებულია. მდებარეობა მაინცა და მაინც საუცხოვო მომხიბლავი არ აქვს, მაგრამ მაინც გაშლილი ჰაერია, მშრალი და ნოტიოს მოკლებული; მხოლოდ ეს თვისება იზიდავს ხალხს ამ სააგარაკოზე. ჩვენებური ქალაქელი აგარაკების ნაკლულევანება ის არის, რომ ის ყოველივე კულტურულ საშუალება-გარემოებას მოკლებულია: სახლები ვიწრო, უმეტეს შემთხვევაში ბინძური, აშენებული უხერხულად, ჩავარდნილ ადგილებზე; საუკეთესო სამოსახლო ადგილები დატოვებულია და ერთ დაბალ ვიწრო ადგილზე არის მოთავსებული ყველა სახლები. სახლებში მოწყობილობა-ავეჯეულობა ნამეტანი ღარიბულია და უფრო ხშირად სულ არაფერია; მიუხედავად ამისა, თითო ოთახი ღირს 50 მანეთიდან ას მანეთამდის; ნამეტანი ძვირია შედარებით სხვა მოწყობილ და ყოველივე საჭირო საგნებით მომზადებულ აგარაკებთან; ეს ხომ საერთო ნაკლულევანებაა კერძო სახლის მეპატრონეებისა; წარმოიდგინეთ, სამი ოთხი ათასი დროებით მოსული მცხოვრები იმყოფება ამ ჟამად სურამში და ერთი საერთო აბანოც არ აქვთ, რომ მოუცილებელი სისუფთავე-სიწმინდის მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს კაცმა. ეს კერძო ინიციატივის და მონდომების ნაკლებულობის ბრალია. კომერციულის მხრითაც რომ შევხედოთ ამ საქმეს, ძლიერ მოსაგებია: 10—15 კაცს შეუძლია აშენოს აქ ასეთი აბანო და ორი წლის განმავლობაში დაიბრუნოს მთელი დახარჯული თანხა თავის სარგებლით. გვაკვირვებს, რომ ასეთი უბრალო, ადვილად მოსახერხებელი საქმე დღემდის არავის გაუკეთებია. სხვა მხრივაც ბევრი რამ საერთო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებელი აკლია დ. სურამს: არც საერთო—საკმაოდ მორთული სამკითხველოა, არც შესაფერი გასართობი სახლი, წარმოდგენა-კონცერტ-ცეკვაობის საქმეც არეულად არის: არ არის არც გამგე, არც მოთავე და ამიტომაც არ არსებობს არავითარი სასურველი წეს-რიგი. როცა დ. სურამს ასეთ მოხერხებულ, ადვილად მისასვლელ სააგარაკო ადგილს, შევადარებთ მიუწდომელ, უხერხულ მთაზე მოწყობილ აგარაკს ბახმაროს დიდ განსხვავებას დავინახავთ: «ბახმაროს» აქვს კერძო საზოგადოებური ინიციატივა და მოხერხება: ამ უდაბურ ტყე ადგილზე ორი წლის განმავლობაში კერძო პირების მეცადინეობით კარგი სამკითხველო-თეატრის შენობა გაკეთდა — საკმაო ჟურნალ-გაზეთები მოდის ამ მთაში, წარმოდგენები თითქმის ყოველ კვირაობით ხერხდება და ყოველივე საერთო საქმეს განაგებს საზოგადოებისაგან არჩეული კომიტეტი. რა თქმა უნდა, გადამეტება არსად არ ვარგა: ამ კომიტეტების განაჩენებმა, «პროტოკოლებმაც» გაუჭირა საქმე შარშან ჰაერით სასარგებლოდ მოსულ ხალხს, მაგრამ წეს-რიგის დამცველი და საერთო მოთხოვნილება-საჭიროებანის გამომხატველი ნაწილი უნდა იყოს ყოველივე შეგნებულ საზოგადოებაში. ამ უკანასკნელ ხანში კერძო პირებს ებადება აზრი საერთო მოწყობილი აგარაკების გაშენებისა: მართლაც, რომ დრო არის ეხლა ამაზე იზრუნოს კერძო ინიციატორებმა. ამ მიზნით ამხანაგობაც უნდა შესდგეს და არც წააგებს ასეთი ამხანაგობა. საჭიროა, რომ ყოველივე კულტურული საშუალებანი ჰქონდეთ მიღებული სახეში ახალი აგარაკის მომწყობთ: ჰიგიენური, სანიტარული, ქონებრივი და სხვა.

ნ—კო.

წერილი რედაქციის მიმართ

მოწყალეო ბატონო რედაქტორო! გთხოვთ უმორჩილესად ადგილი დაუთმოთ ამ ჩემს პასუხს თქვენს პატივცემულ გაზეთ «ცნობის ფურცელში.» თქვენის გაზეთის მე 1520 №-ში არის დასტამბული წერილი ხევიდან; ამ წერილის, ავტორი ვინმე სნოველი, საშინელ ცილსა მწამებს და მიწასთან მასწორებს წინაშე მკითხველის საზოგადოებისა, წინაშე ჩვენივე ერისა და კერძოთ ჩემივე მთავრობისა. იგი სწერს: «რაც ქვემო ხევის მამასახლისმა ჯაჭვი გადაიგდო, რა და რა გზა არ გამონახა საწყალი მოხევის შეწუხებისათვისო. ჯერ იყო და წამოუარა ხევის ხალხს და ერთბაშათ აკრიფა თავის წლის ჯამაგირი მწერლისა და სამის ჩაფრისა, რომელიც შეადგენს 1200 მანეთსაო. ეს ფული მოკრიფა მან სამს დღეშიო. საწყალი მოხევე ჰყიდიდა რაც კი ჰქონდაო. ბოლოს კი გავიგეთ, თუ რათ ჰკრეფავდა ასეთის სიჩქარით ზემოხსენებულს ფულსა. ხაზინაში გაგზავნა მხოლოდ 800 მანეთი, დანარჩენის ფულით კი ხელი მოჰკიდა იჯარის საქმესაო. რაკი ეს ფული ცოტა იყო იმ იჯარისათვის, ქვემო ხევის საზოგადოებას კიდევ გადაახდევინა 200 მანეთი—კანცელარიისთვის არის საჭიროვო; ამას გარდა კომლზე გადაახდევინა თითო აბაზი, ბეჭდვის ფული არის და ხაზინაში უნდა გავგზავნოვო. ამ გვარსავე მზრუნველობას არ აკლებს ხალხს მწერალი აბრაამ გიგოლიძეო.» არც ერთი სიტყვა ბ. სნოველისა მართალი არ არის. როგორც ჩემმა სახელო ხალხმა, ისე ჩემმავე მთავრობამ (ბოქაულმა და მაზრის უფროსმა) კარგათ უწყიან, რომ ჩვენ არავითარი ბოროტმოქმედება არ ჩაგვიდენია და თუ რასმეს ჩავიდენდით, მაშინ ცხადია, რომ არც ბ-ნი სნოველი და მისი თანამოაზრენი არ დაგვზოგავდნენ მთავრობის წინაშე პასუხის გებაში მიცემისათვის. რაც შეეხება იჯარადობას და ადებ-მიცემობას, ვგონებ, რომ მომაკვდინებელ ცოდვათ არავის ჩაეთვალოს, როდესაც მამა ჩემი ორმოცის წლის ვაჭარი კაცი, და ჩემივე ძმა ამ ხელობას ასრულებენ, რომლებთანაც ერთად მე ვცხოვრობ და თვით ღმერთია მოწამე, რომ ხალხის ფული ადებ-მიცემობაში ჩემს მამა-ძმას არაფერში უხმარნიათ და თავის შრომით ნაშოვნი ერთი-ორი გროში ჩემ მამასახლისად ამორჩევამდე ყოველთვის ჰქონიათ. შესახებ იმისა, რომ ვითომც ოთხმოცის თუმნის მეტი ხაზინაში არ წარმედგინოს, აი მობძანდეს აქა, გადაათვალიეროს შესავალ-გასავლის დავთრები, ხარჯთ-აკრეფის ფურცლები და დაინახავს, რომ მე წარვადგინე წარსულ ნოემბრის 28-ში მაზრის უფროსის სახელობაზე ფული 1900 წლის გადასახადი № 2385—თ—1300 მანეთი და არა 800 მანეთი, როგორც ბრძანებს სნოველი თავის წერილში! აგრეთვე მაქვს დუშეთის სამაზრო ხაზინის მიერ ფულის მიღების ბარათი 29-ის იმავე ნოემბრიდან № 4110-თ. ბეჭდების და მოხელეთ მენდლებისათვის წარვადგინე სამაზრო სამმართველოშივე 115 მანეთი 80 კ.

რაც შეეხება იმას, ვითომ სასტიკათ ვეპყრობოდე ხალხს და თუ რამ ვისმეს ჰქონდა, სულ დაჰყიდესო, არ შეიძლებოდა დაესახელებინა ბ-ნ სნოველს მაგალითებით?! ჯერ ისევ ძველის წესით, ე. ი. როდესაც უჯამაგიროდ იყო მოხელეები, მაშინ სნოს საზოგადოებამ ამირჩია მამასახლისად და მთავრობის ძალდაუტანებლად დამინიშნა თვით ხალხმა ჯამაგირი. და თუ ასეთ ბოროტ კაცად მივაჩნდი ხალხს, მაშ რაღამ აიძულა სამი საზოგადოების ხალხი სნოსი, სიონისა და სტეფან წმინდის, ყველამ ერთის პირით რომ ამომირჩიეს მეორედაც?! მაშინ ხომ ორი კაცის მეტმა ჩემს ხელ მეორედ ამორჩევაზე უარი არავინ არ განაცხადა და მას შემდეგ-კი ჯერ ერთი წელიც არ გასულა და რა ჩქარა შევძულებივარ ან ხალხს და ან მე თვით ის ხალხი! მაინც-კი ვუმადლი ბ. სნოველს, რადგანაც ჯერ თოვლში თავს იმალავს და გვარს არ აცხადებს და მერე-კი იმუქრება, გუბერნატორთან ვიჩივლეო. კარგი და პატიოსანი! რაკი იჩივლა, დეე გამოძიებამ აღმოაჩინოს ყოველი. მეც სამმართველოს კარი ღია მაქვს და ყოველს ჩვენგანს შეუძლიან მობძანდეს და ანგარიშში მიიღოს.

ამით ვათავებ ჩემს წერილს.

ქვემო-ხევის საზოგადოების მამასახლისი
გიორგი იობას ძე დუდუშაური.

რედაქტორი ალ. ჭყონია. გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 24 ივლისს.

ვექსელის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	93,95	
ბერლინზე 100 მარკაში	46,02½	
პარიზზე 100 ფრანკში	—	
ლონდონზე ჩეკები	94,70	
ბერლინზე „	46,30	
პარიზზე „	37,37½	
ბირჟის დისკონტი	5½—7%	
4% სახელმწიფო რენტა	96⅛	გაყიდ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	100	მყიდვ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამ. ბანკისა	96	გამყიდ.
5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	428	მყიდვ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	332	„
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	231	„
3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	—	
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	92	გაყიდ.
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ	92½	„
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—	
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურცლ	—	
5%გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის).

ა) **ტფილისიდან** ბათუმისაკენ: 1) სწრაფი მატარებელი გადის დილის 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 2) საფოსტო—გადის საღამოს 5 ს. 27 წ. (6 ს. 25 წ.); 3) სამგზავროს-გადის დილის 6 ს. 49 წ. (7 ს. 47 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ ხუთშაბათობით) დილის 9 ს. 17 წ. (10 ს. 15 წ.); საფოსტო—გადის დილის 11 ს. 48 წ. (12 ს. 46 წ.); 3) სამგზავრო—გადის სადამ. 8 ს. 18 წ. (9 ს. და 16 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: 1) საფოსტო მატარ. გადის სადამ. 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბ) **ქუთაისიდან** ტფილისამდე: 1) მატარ. გადის ღამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 2) გადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.); 3) ბაქომდე—შუაღამის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის ღამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 2) გადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

გ) **ბათუმიდან** ტფილისამდე: 1) სწრაფი მატარ. გადის სადამ. 9 ს. 45 წ. (10 ს. 43 წ.); 2) საფოსტო მატარ. ბაქომდე გადის სადამ. 10 ს. 17 წ. (11 ს. 15 წ.); 3) სამგზავრო მატარ. ბაქომდე გადის დილის 8 ს. 15 წ. (9 ს. 13 წ.).

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. თვ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა, ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლის ედიგაროვისა, ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ბაჩითახოვისა, ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას, გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ის[illegible]მანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ახალი წიგნი
სამეგრელოს აღწერა
არქანჯელო ლამბერტისა
იტალიურით ნათარგმნი
ალექსანდრე ჭყონიასი
(სამეგრელოს რუკით)
ფასი 1 მანეთი

დაბეჭდილია მცირეოდენი ცალი და იყიდება მხოლოდ: ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ მაღაზიაში და ქართველთა ამხანაგობის კიოსკში და ქუთაისში—ჭილაძის და ბეჟანეიშვილის მაღაზიებში.

ცრუ ტიუფი ანუ მუზმუზელა 5 მოქ. კომედია მოლიერისა, ფასი 50 კ. იყიდება წიგნ. გამომ. ქართ ამხ. კიოსკში, ლორის-მელიქოვის ქ. ალექსანდროვის ბაღის კუთხეში. (80—13)

თხზულება
თ. რ. ერისთავისა.
I ტომი
ფასი სამი აბაზი.

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში, ლორის მელიქოვის ქუჩ., ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 27 Іюля 1901 г.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობის.